



შუალედური ანგარიში

სასამართლო პროცესებზე მონიტორინგის პროექტი, საქართველო

ვარშავა, 12 მარტი, 2014

სარჩევი

- I. მოკლე მიმოხილვა
 - II. წინაპირობები
 - III. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგია
 - IV. სასამართლო პროცესების მონიტორინგის საქმიანობა.....
 - V.საკანონმდებლო ჩარჩო და სასამართლო სისტემა
 - VI. სამართლიანი სასამართლოს უფლება
 - VII. დასკვნები
- დამატება I:სასამართლო საქმეების მონიტორინგის მიმოხილვა
- დამატება II: ინფორმაცია საერთაშორისო მონიტორების შესახებ

I. მოკლე მიმოხილვა

2013 წლის იანვარში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შეთავაზებული წინადადების საფუძველზე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა მოამზადა წინამდებარე შუალედური ანგარიში 2013 წლის თებერვალში განხორციელებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტის მსვლელობის შედეგების შესახებ საქართველოს მთავრობისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად.

სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი ხორციელდება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR –ის) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია სახელმძღვანელოში „სასამართლო პროცესების მონიტორინგი – დამხმარე სახელმძღვანელო მომქმედი იურისტებისთვის“¹ და საერთაშორისო სამართლიანი სასამართლოს უფლების დაიჯესტში.²

პროექტის ფარგლებში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა მონიტორინგისთვის შეარჩია საქმეები სადაც ბრალდებული ან ერთერთი ბრალდებული პირის მიმართ შესაძლებელია „ოფიციალური პირის“ განსაზღვრების გამოყენება საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-2-ე მუხლის შესაბამისად.

მონიტორინგის დაწყებიდან, ანუ 2013 წლის 20 თებერვლიდან, 2014 წლის 20 თებერვლამდე, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ჩაატარა 270 სასამართლო პროცესის მონიტორინგი 14 საქმეზე, რაც აღწერილია წინამდებარე ანგარიშის პირველ დამატებაში. აღნიშნული 14 საქმიდან, შვიდი რჩება პირველ ინსტანციაში განსახილველად ხოლო დანარჩენ შვიდ საქმეზე გამოტანილია განაჩენი. ორი საქმე გადაცემულია აპელაციაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც მესამე საქმეზე დაამტკიცა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება. ერთი საქმე გადაცემულია აპელაციაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მონიტორინგი ჩატარდა თერთმეტი საქმის სააპელაციო განხილვაზე.

ყველა დაინტერესებული პირი და პროექტის ბენეფიციარი მიესალმება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ჩართულობას და მხარს უჭერს სასამართლო პროცესების მონიტორინგის ჩატარებას. გენერალური პროკურატურის, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ განისაზღვრა ძირითადი პუნქტები ეუთოს მონიტორინგისთვის სასამართლო პროცესებზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის გასაიოლებლად და დაგეგმილი განხილვებისა და განაჩენის გამოტანის შესახებ და საჭიროებისამებრ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად მათი მოთხოვნის შესაბამისად.

საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოები, რომლებიც არეგულირებენ საქართველოს სასამართლო და კერძოდ სისხლის სამართლის სისტემას, ზოგადად ყოვლისმომცველია და

¹ იხ. <http://www.osce.org/odihr/94216>

² იხ. <http://www.osce.org/odihr/94214>

იმღვევა სასამართლო პროცესების წარმართვის რაციონალურ საფუძველს კანონის უზენაესობის პრინციპების და სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის პრინციპებს³ ამაგრებს საქართველოს კონსტიტუცია, რასაც ასევე ეხმაურება კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.⁴

არსებობს მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევისა ჩაეტარებინა სასამართლო რეფორმა და გაემიჯნა იგი აღმასრულებელი შტოსგან, ჯერ კიდევ არსებობს სისტემური ხარვეზები, რის გამოც რჩება პოტენციური შესაძლებლობა, რომ მოსამართლეები დაექვემდებარონ ხელისუფლების სხვა შტოების ზეწოლას, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საზოგადოებრივ აზრზე საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შესახებ.

რაც შეეხება სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებს, საქართველოს კანონი, სხვებთან ერთად, შეიცავს შემდეგ დებულებებს, რომლებიც ეხება მონიტორინგის ქვეშ მყოფ სასამართლო პროცესებს:

საჯარო მოსმენის უფლება მკაფიოდ არის ფორმულირებული კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის მიხედვით „როგორც წესი, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე და საჯაროდ“⁵.

ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით⁶. კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აგრეთვე უზრუნველყოფილია ბრალდებულის უფლება რომ იგი არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ⁷.

ბრალდებულის უფლება, მიიღოს და შეიტყოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს, რომ დაკითხვამდე, იგი უნდა იყოს ინფორმირებული მისი უფლებების შესახებ. სამართლიან პროცესთან დაკავშირებით კანონი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას სწრაფ მართლმსაჯულებაზე ამ კოდექსით დადგენილ ვადებში და ავალდებულებს სასამართლოს პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.⁸

რაც შეეხება მხარეთა თანასწორობას და საქმის ადეკვატურ მომზადებას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს, რომ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის წარდგენასაც აპირებენ სასამართლოში, როგორც მტკიცებულებას⁹.

³ კონსტიტუცია, მუხლ. 82(3) და 85.

⁴ საერთო სასამართლოების კანონი. მუხლ. 1 (1).

⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 182(1) და 10; კონსტიტუცია, მუხლ. 85(1)

⁶ კონსტიტუცია. მუხლ. 40 (1) და 17.

⁷ კონსტიტუცია, მუხლ. 42 (8); სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ.15.

⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 8 (2), (3).

⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ.83 (6).

ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.¹⁰

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს დებულებას, რომელიც ანიჭებს დაცვის მხარესითი მტკიცებულების წარუდგენლობის საგამონაკლისო უფლებას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაცვის უზრუნველსაყოფად¹¹ თუმცა ამ შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია დააკისროს დაცვის მხარეს „საპროცესო ხარჯების“ ანაზღაურება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა.¹² ყველა ბრალდებულს რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს მოითხოვოს მოწმეთა დაკითხვა და გამოიძახოს მოწმე მისი ინტერესების შესაბამისად.

რაც შეეხება სასამართლო პროცესზე დასწრების უფლებას, კოდექსის თანახმად ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა¹³.

ყველა ბრალდებულს საქართველოში უფლება აქვს „ ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის.“¹⁴

კონსტიტუცია უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებას,¹⁵ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განაჩენის კანონიერების უფლება არ არის მკაფიოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული, კოდექსი აღნიშნავს, რომ „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი“.¹⁶

ბუნდოვანება, რაც თან ახლავს სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას ქართულ კანონმდებლობაში საკმაოდ დიდ სივრცეს ტოვებს ინტერპრეტაციისა და სასამართლო უფლებამოსილების აღსრულებისთვის, რაც ხშირად ართულებს კანონმდებლობის თანამიმდევრულად გამოყენებას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი დეტალურად შეაფასებს საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს და დაადგენს საქართველოში სამართლიანი სასამართლოს უფლებებში არსებულ ხარვეზებს მონიტორინგის საქმეებთან შესაბამისობაში.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი მოამზადებს და გამოსცემს ანგარიშს სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ, მათ შორის რეკომენდაციებს საქართველოს ხელისუფლებისთვის, იმ შერჩეულ საქმეებზე, რომლებზეც სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ განაჩენი.

¹⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ.83 (1).

¹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ.84

¹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 14 (2).

¹³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ.189(1).

¹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ.38 (5).

¹⁵ კონსტიტუცია, მუხლ.85 (1)

¹⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 259 (1) და (2); იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 273 და 275

II. წინაპირობები

2012 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ დაიწყო ტალღა წინა ადმინისტრაციის ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებებისა, რამაც ქვეყანა საგულდაგულო დაკვირვების საგნად აქცია როგორც საშინაო, ისე საგარეო თვალსაზრისით და გამოიწვია შეშფოთება, რომ არსებული და მომდევნო სასამართლო პროცესები შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებული ყოფილიყვნენ. 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, მოქალაქეთა და სხვა აქტორთა საჩივრების საფუძველზე, და ასევე თანამდებობრივი მოვალეობების გამო, აღძრა სისხლის სამართლის საქმეები სხვადასხვა რანგის სამთავრობო მოხელეების წინააღმდეგ.

ეუთოს ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველო ამ საქმეების გამჭვირვალედ, კანონის უზენაესობასთან და სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებთან შესაბამისობაში წარმართვის გამოწვევის წინაშე დგას. ის, თუ როგორ წარმართავენ საქართველოს სასამართლო ორგანოები, პროკურატურა და სასამართლო პროცესებში სხვა მონაწილე მხარეები ამ საქმეების წარმოებას, წარმოადგენს სასამართლო სისტემის აღმასრულებელი შტოსგან დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს, და აგრეთვე მიუთითებს თუ რამდენად სრულდება მთელი რიგი ვალდებულებები და რამდენად არის დაცული საერთაშორისო სტანდარტები საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სამართლიანი სასამართლოსა და კანონის უზენაესობასთან მიმართებაში.

2013 წლის იანვარში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შედგა მიმოწერა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის 29 იანვრის მოიწვია ODIHR მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა სასამართლო პროცესებზე მონიტორინგის განსახორციელებლად, რომლის საპასუხოდ ODIHR სიტუაციის გაცნობის მიზნით იმყოფებოდა თბილისში 2013 წლის 6–10 თებერვალს. ვიზიტის შედეგად, ODIHR-მა დაიწყო სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი 2013 წლის 20 თებერვალს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, როგორც ეს მოცემულია სახელმძღვანელოში: „სასამართლო პროცესების მონიტორინგი – დამხმარე სახელმძღვანელო მომქმედი იურისტებისთვის“¹⁷ და „საერთაშორისო სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაიჯესტში“¹⁸.

ამ პროექტის ფარგლებში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა შეარჩია საქმეები, სადაც ბრალდებულის ან ერთერთი ბრალდებული პირის მიმართ შესაძლებელია „თანამდებობის პირის“ განსაზღვრების გამოყენება საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის მე-2-ე მუხლის შესაბამისად.

ODIHR-ის მიერ მონიტორინგის საქმიანობის დაწყებიდან, გენერალური პროკურატურის, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განისაზღვრა ძირითადი პუნქტები ეუთოს მონიტორინგისთვის სასამართლო პროცესებზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის გასაიოლებლად და დაგეგმილი განხილვებისა და განაჩენის გამოტანის შესახებ და საჭიროებისამებრ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად მათი მოთხოვნის შესაბამისად.

¹⁷ ხელმისაწვდომია შემდეგ საიტზე <http://www.osce.org/odihr/94216>

¹⁸ ხელმისაწვდომია შემდეგ საიტზე <http://www.osce.org/odihr/94214>

სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი იმართება ვარშავიდან და ხორციელდება საქართველოში არამუდმივი საერთაშორისო გუნდის ლიდერისა და სასამართლო პროცესების 42 საერთაშორისო მონიტორის¹⁹ მიერ, რომლებიც პერიოდულად იცვლებიან როტაციის პრინციპით და მუშაობენ ორ კაცთან ჯგუფებად. სასამართლო პროცესების მონიტორების დაკომპლექტება ხდება გარედან დაქირავებული ექსპერტთა ჯგუფიდან და ასევე სასამართლო პროცესების მონიტორინგის გამოცდილების მქონე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ეუთოს სავლე ოპერაციებში მომუშავე პერსონალით.

III. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესების მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგია

ეუთოს მონაწილე ქვეყნებმა წამოიწყეს არაერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების, კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, სისხლის სამართლის ადმინისტრირების და ადამიანის უფლებების (ვენა, 1989, კოპენჰაგენი 1990, პარიზი 1990, მოსკოვი 1991) კუთხით. მათ შორის უმნიშვნელოვანესი საქმიანობა მდგომარეობს სამართლიანი და საჯარო სასამართლო პროცესების უზრუნველყოფაში, რომელიც უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადებში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე. ეუთოს სამართლიანი სასამართლოს უფლებების კუთხით საქმიანობასთან ერთად, ეუთოს წევრი ქვეყნები საჭიროდ მიიჩნევენ სასამართლო პროცესებზე დამკვირვებელთა დასწრებას მეტი სანდოობის მიზნით.²⁰

ზემოთ აღნიშნულ საქმიანობებზე დაყრდნობით, დამოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურომ შეიმუშავა სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგია, რაც აღწერილია მომქმედი იურისტებისთვის სასამართლო პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელოში – *„სასამართლო პროცესების მონიტორინგი – დამხმარე სახელმძღვანელო მომქმედი იურისტებისთვის“* და *სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო უფლებების საკანონმდებლო დაიჯესტში*. ამ მეთოდოლოგიის მიზანია დაკვირვების ქვეშ არსებული სასამართლო პროცესების და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლის სისტემაში შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირება და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის საბოლოო რეკომენდაციების წარდგენა, რაც ორიენტირებული იქნება სისხლის სამართლის ადმინისტრირების გაძლიერებაზე ეუთოს საქმიანობის კონტექსტში. სასამართლო პროცესების მონიტორინგს ატარებენ ორ კაცთან ჯგუფები, რომლებიც ყოველი სასამართლო მოსმენის შემდეგ ავიქსირებენ მიღებულ ინფორმაციას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობის და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. საზოგადოებრივი პოზიციის კუთხით, ODIHR აკვირდება, თუ რამდენად შეესაბამება პროცედურები და სამართალწარმოება საერთაშორისო სტანდარტებს, აღიარებულ პრაქტიკას და ეუთოს ვალდებულებებს და არა თვით სასამართლო პროცესების არსებით შედეგებს.

¹⁹ 2014 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით

²⁰ კოპენჰაგენი 1990, პუნქტი 12

თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს მონიტორინგი ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს სასამართლო პროცესების მონიტორინგის ქცევის კოდექსით, რაც გულისხმობს ჩაურევლობის, მიუკერძოებლობის და პროფესიონალიზმის ვალდებულებას. მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფებს ეკისრებათ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და ეკრძალებათ მედიასთან ურთიერთობა.

ჩაურევლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებთან ერთად, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინების მიზნით, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო ხელისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის და საზოგადოებისთვის მხოლოდ მას შემდგომ, რაც იმ საქმეებზე, რომლებიც ექვემდებარებიან მონიტორინგს, მოხდება განაჩენის გამოტანა ყველა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში ან საქმის სხვაგვარად დასრულების შემთხვევაში.

IV. სასამართლო პროცესების მონიტორინგის საქმიანობა

ODIHR –მა დაიწყო მონიტორინგის პროექტის განხორციელება 2013 წლის 20 თებერვალს, რასაც წინ უძღოდა თბილისში ვიზიტი სიტუაციის წინასწარი გაცნობის მიზნით 2013 წლის 6–10 თებერვალს და შეხვედრები საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, საქართველოს გენერალურ პროკურორთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან და საქართველოს სახალხო დამცველთან. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს წარმომადგენლები აგრეთვე შეხვდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც ახორციელებენ მონიტორინგს ადამიანის უფლებების და სასამართლო პროცესების კუთხით საქართველოში, აგრეთვე ჰქონდათ შეხვედრები ევროკავშირის დელეგაციასა და საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი აგრეთვე ურთიერთობს თბილისის საქალაქო სასამართლოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურომ გამოუშვა ორი პრეს რელიზი პროექტის დაწყებისა და გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით.²¹

მონიტორინგის დაწყებიდან, ანუ 2013 წლის 20 თებერვლიდან, 2014 წლის 20 თებერვლამდე, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ჩაატარა 270 სასამართლო პროცესის მონიტორინგი 14 საქმეზე, რაც აღწერილია წინამდებარე ანგარიშის პირველ დამატებაში. აღნიშნული 14 საქმიდან, შვიდი რჩება პირველ ინსტანციაში განსახილველად ხოლო დანარჩენ შვიდ საქმეზე გამოტანილია განაჩენი. ორი საქმე გადაცემულია აპელაციაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც მესამე საქმეზე დაამტკიცა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება. ერთი საქმე გადაცემულია აპელაციაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მონიტორინგი ჩატარდა თერთმეტი საქმის სააპელაციო განხილვაზე.

²¹ იხ. ODIHR პრეს რელიზი, 2013 წლის 13 თებერვლი საიტზე <<http://www.osce.org/odihr/99413>> და 2013 წლის 20 თებერვლი საიტზე <<http://www.osce.org/odihr/99716>>

პროექტი, რომელიც თავდაპირველი გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო იყო 2013 წლის დეკემბრამდე, გაგრძელდა 2014 წლის 30 ივნისამდე იმ ფაქტის გამო, რომ სასამართლო პროცესების უმეტესობა ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია პირველ, მეორე თუ მესამე ინსტანციებში.

ამასთან ერთად, ODIHR ახორციელებს საქართველოს საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების ჩარჩოების შეფასებას სამართლიანი სასამართლოს უფლებებისა და კანონის უზენაესობის კუთხით, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი საერთაშორისო სტანდარტებსა და ეუთოს ვალდებულებებს იმ საქმეებთან მიმართებაში, რომლებზეც ხორციელდება მონიტორინგი. სასამართლო პროცესების მონიტორინგის შეფასებები და დასკვნები საფუძვლად დაედება საბოლოო ანგარიშს.

V. საკანონმდებლო ჩარჩო და სასამართლო სისტემა

კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე წარდგენის კანონით დადგენილი უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთერთ ფუნდამენტურ გარანტიას.²² სასამართლოს დამოუკიდებლობის გაეროს ძირითადი პრინციპების თანახმად, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლო პროცესების სამართლიანად ჩატარება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის პრინციპების შესაბამისად.²³ ეუთოს წევრ ქვეყნებს გააჩნიათ საერთაშორისო ინსტრუმენტებით განსაზღვრული²⁴ დამოუკიდებლობის სტანდარტების და სასამართლოს მიუკერძოებლობის სტანდარტების დაცვის ვალდებულება.

საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის პრინციპებს²⁵. მთელი რიგი საკანონმდებლო დებულებებისა იმეორებს ამ პრინციპებს როგორც ზოგად ისე კონკრეტულ პირობებთან მიმართებაში. საერთო სასამართლოების კანონი ეხმაურება კონსტიტუციის ამ დებულებას სასამართლო დამოუკიდებლობის შესახებ.²⁶ იგი აგრეთვე არეგულირებს სასამართლოების შემადგენლობას, მოსამართლეების დანიშვნასა და გათავისუფლებას და მოსამართლეთა სხვა მრავალ მოვალეობებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის დაცვის კუთხით²⁷. სასამართლო ეთიკის ნორმები განსაზღვრავენ კონკრეტულ წესებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, კომპეტენტურობის და აღსრულების და ასევე მოსამართლეთა მედიასთან ურთიერთობის და სასამართლოს გარეთ საქმიანობის განხორციელების კუთხით.²⁸

კონსტიტუციის 83-ე მუხლი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების სისტემის ფუნქციებს. საერთო სასამართლოებში შედიან უზენაესი სასამართლო,

²² საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 23 მარტი, 1976, მუხლ. 14 (1),

²³ სასამართლოს დამოუკიდებლობის გაეროს ძირითადი პრინციპები, 13 დეკ. 1985, მუხლ. 1 და 2, <<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/IndependenceJudiciary.aspx>> .

²⁴ ეუთოს ჰუმანიტარული განზომილებების ვალდებულებები, 2005, გვ. 91–92, <<http://www.osce.org/odihr/elections/16363>>.

²⁵ კონსტიტუცია, მუხლ. 82 93) და 85.

²⁶ კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლ. 1 (1).

²⁷ იხ. კანონი საერთო სასამართლოების შესახებ

²⁸ საქართველოში სასამართლო ეთიკის ნორმები, იხ. <<http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>>

ორი სააპელაციო სასამართლო და 26 საქალაქო სასამართლო. საერთო სასამართლოების საქართველოს ორგანული კანონი (კანონი საერთო სასამართლოების შესახებ), საქართველოს პარლამენტმა პირველად მიიღო 1997 წლის 13 ივნისს და იგი ძალაში შევიდა 1998 წელს. ეს კანონი განსაზღვრავს სასამართლოთა სისტემას და ორგანიზაციას და ადგენს სასამართლოს შემადგენლობის, მოსამართლეების დანიშვნისა და გათავისუფლების ნორმატიულ ჩარჩოებს. თავდაპირველი კანონი საერთო სასამართლოების შესახებ ითვალისწინებდა სამდონიან სასამართლო სისტემას და მის საფუძველზე ჩამოყალიბდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც პრეზიდენტის სათაბირო ორგანო. საერთო სასამართლოების კანონის განხორციელება საკანონმდებლო რეფორმების პირველი ტალღის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც გატარდა უფრო მეტად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნის ძალისხმევის გასაძლიერებლად.

2005 წელს მთავრობამ დაიწყო უფრო ფართო სასამართლო რეფორმები, რაც გულისხმობდა როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციონალურ ცვლილებებს. ეს უკანასკნელი მოითხოვდა სისტემის რეორგანიზაციასა და სასამართლოთა გაერთიანებას, ისევე როგორც მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოსამართლეთა ხელფასებში და ინფრასტრუქტურაში, სასამართლო სფეროში კორუფციის აღმოსაფხვრელად. ზოგიერთი ძირითადი ცვლილება შეიცავდა სასამართლო ინსტანციების თანამიმდევრულობის პრინციპების ჩამოყალიბებას საქალაქო, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებს შორის და მოსამართლეთა შერჩევისა და მომზადების პროცესის რეფორმირებას. ამასთან ერთად, 2007 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შედეგად მოხდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმალური ტრანსფორმირება სასამართლო სისტემის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ორგანოდ. 2007 წლის ცვლილებების შედეგად პრეზიდენტს ჩამოერთვა მოსამართლეების დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებამოსილება და ეს ფუნქცია გადაეცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

2012 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა შემდგომი ცვლილებები საერთო სასამართლოების კანონში, რომლებიც, სხვა ცვლილებებს შორის ყურადღებას ამახვილებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაზე და მოსამართლეთა დანიშვნასა და გადაყვანაზე.

ცვლილებებმა, რომელიც შეტანილ იქნა საერთო სასამართლოების დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში, დამატებითი შესაძლებლობა შექმნა მოსამართლეთა დანიშვნის და ინფორმაციის გაცემის პროცესის გამჭვირვალობისთვის დისციპლინარული სამართალწარმოების პროცესების კუთხით. საერთო სასამართლოების დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის 2013 წლის ცვლილებებმა დამატებითი წვლილი შეიტანეს სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ

2010 წელს, კონსტიტუციონალური ცვლილებები ითვალისწინებდა მოსამართლეთა უვადო დანიშვნის შეცვლას მათი მაქსიმუმ ათწლიანი ვადით დანიშვნით. 2013 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებათა სხვა პაკეტი საერთო სასამართლოების კანონში, რომელიც გულისხმობდა ყველა მოსამართლისთვის სამწლიან გამოსაცდელ ვადას, მათი უვადო პერიოდით დანიშვნამდე. თუმცა, საზოგადოებრივი დებატებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების კრიტიკის

შედეგად, პარლამენტმა²⁹ გადადო მოსამართლეთა შეფასება და მონიტორინგი ახალი სისტემის მიხედვით სამწლიანი საცდელი ვადის დასრულებამდე. საერთო სასამართლოების კანონში შეტანილმა სხვა ცვლილებების შედეგად გაიზარდა მოსამართლეთა მინიმალური კვალიფიკაციები.

საქართველოს მართლმსაჯულების საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩო და განსაკუთრებით სისხლის სამართლის სამართალწარმოების სისტემა ზოგადად ყოველმომცველია და ითვალისწინებს სასამართლო პროცესების წარმართვის უფრო და უფრო ჯანსაღი ბაზის არსებობას კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად.

თუმცა არსებობს წუხილი იმის თაობაზე, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის მიერ გაღებული სასამართლო სისტემის რეფორმირების და მისი აღმასრულებელი ხელისუფლებისგან განცალკევების მრავალი ძალისხმევის მიუხედავად, სისტემური ხარვეზები მაინც არსებობს, რაც ქმნის მოსამართლეებზე ხელისუფლების სხვა შტოებიდან ზეწოლის პოტენციურ შესაძლებლობას და უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შესახებ.

VI. სამართლიანი სასამართლოს უფლებები

სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებთან დაკავშირებით საქართველოს კანონი შეიცავს შემდეგ დებულებებს:

ღია სასამართლო მოსმენის უფლება მკაფიოდ არის გაცხადებული კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის მიხედვით „როგორც წესი, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე და საჯაროდ“. ³⁰ უფრო მეტიც, დახურულ სხდომაზე „საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“³¹ ეს დებულებები მეორდება საერთო სასამართლოების კანონშიც. ³²

პირი **უდანაშაულოდ ითვლება**, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.³³ კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აგრეთვე უზრუნველყოფენ ბრალდებულის უფლებას რომ იგი არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ.³⁴ ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს „დუმის უფლება“. თუ

²⁹ კოალიცია გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის, 2013 წლის 3 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომის საიტზე Coalition at <<http://transparency.ge/en/post/general-announcement/coalition-independent-and-transparent-judiciary-calls-georgian-parliament>>

³⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 182 (1) და 10; კონსტიტუცია, მუხლ. 85 (1)

³¹ კონსტიტუცია, მუხლ. 85 (1).

³² კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლ.13

³³ კონსტიტუცია მუხლ. 40 (1) და 17

³⁴ კონსტიტუცია მუხლ. 42 (8); სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 15

ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს „არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად“. ³⁵ ჩვენების მიცემა „ბრალდებულის უფლებაა“. ³⁶

სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე, მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ ბრალდებულისთვის ინფორმაციის და განმარტებების მიწოდება მათი უფლებების შესახებ. ³⁷ ეს ხელს უწყობს სასამართლო პროცესის ხელშეუხებლობას, ეხმარება რა ბრალდებულს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება დაცვის თაობაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაკითხვამდე ბრალდებულს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, მათ შორის დუმილის უფლების შესახებ და რომ იგი არ არის ვალდებული ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, აქვს უფლება მისცეს ჩვენება როგორც მოწმემ და სხვა უფლებები, რაც ეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ³⁸

ბრალდებულის უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე თავიდან ააცილებს პირს სასამართლო პროცედურების დროს გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სათანადოდ ადმინისტრირებას და ავალდებულებს სასამართლოებს პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. ³⁹ ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს მისი დაკავებიდან.

დაცვის მხარე უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით აღნიშნული ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების შესახებ ⁴⁰.

რაც შეეხება საქმის მომზადების ადექვატურ შესამღებლობებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ, როგორც მტკიცებულებას. ⁴¹ ამასთან ერთად, ბრალდების მხარემ უნდა წარმოადგინოს მის ხელთ არსებული ყველა გამამართლებელი მტკიცებულება. ⁴²

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარს უჭერს დაცვის მხარის მიერ ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაცვის უზრუნველსაყოფად. თუმცა ამ შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია დააკისროს „საპროცესო ხარჯების“ ანაზღაურება. ⁴³ კოდექსის თანახმად, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულებების დასაშვებობაზე წინასასამართლო სხდომაზე. ⁴⁴ თუმცა, მხარის

³⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 38 (4).

³⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.74(2).

³⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 174 (1) (დაკავებისას),197 (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისას), 219(1) and (3) (წინასასამართლო სხდომაზე) and 230 (სასამართლო პროცესზე).

³⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 38 (2), 230 (1) და 219 (3).

³⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 8 (2), (3).

⁴⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.205(3) და 208(3).

⁴¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.83 (6).

⁴² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.83 (1).

⁴³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.84

⁴⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.219(4) და 220.

შუამდგომლობით წარდგენილი დამატებითი მტკიცებულების საქმეზე დაშვება ექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტილებას.⁴⁵

ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;⁴⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ადამიანის უფლებას სასამართლოში მოითხოვოს მოწმე.⁴⁷

მხარეებს აგრეთვე შეუძლიათ გამოიძახონ ის მოწმეები, რომელთა შესახებ არ იყო ცნობილი წინასასამართლო პროცესზე თუ სასამართლო დასჯერდება მხარის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას.⁴⁸

რაც შეეხება **ბრალდებულის დასწრებას** საქმის განხილვაზე, „ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.⁴⁹ აპელაციის უფლებასთან დაკავშირებით, „მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი მის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი, უფლება აქვს, გაასაჩივროს განაჩენი დაპატიმრებიდან, ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან, ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანიდან 1 თვის ვადაში, თუ ბრალდებული მოითხოვს საქმის გადახედვას სააპელაციო სასამართლოში მის დაუსწრებლად.“⁵⁰

ყველა ბრალდებულს საქართველოში აქვს **ადვოკატის არჩევისა და ყოლის**, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება.⁵¹ ხოლო თუ ის უქონელია –უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას. ეს უფლება განმტკიცებულია პროცედურული ზომებით რაც საშუალებას აძლევს სასამართლოს დანიშნოს შემცვლელი ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე და გადადოს საქმის განხილვა ათ დღემდე (და დამატებით ხუთ დღემდე კარგად მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე), რათა ახალ ადვოკატს მიეცეს საქმის კარგად გაცნობის საშუალება.⁵²

სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი რამოდენიმე გარემოების არსებობისას, მათ შორის, თუ „მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე ... თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;

თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;⁵³ ან თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას.⁵⁴ იმ შემთხვევებში სადაც ადვოკატის გამოყენება სავალდებულოა

⁴⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.239. იხ. აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 84

⁴⁶ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლ.14 (3) (ე); ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლ. 6(3)(გ).

⁴⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.14 (2).

⁴⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 239 (2).

⁴⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 189 (1).

⁵⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 292 (3).

⁵¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 38 (5)

⁵² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 190 (1).

⁵³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 45.

⁵⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ.189 (1).

და ბრალდებული არ არის წარმოდგენილი, „დაცვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო“.⁵⁵ გარდა ამისა, ბრალდებულს აქვს მის ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობის უფლება.⁵⁶

კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებას.⁵⁷ თუმცა სასამართლოს განჩინების დასაბუთებულობის უფლება იკითხება შემდეგნაირად: „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.“⁵⁸

ბუნდოვანება რაც თან ახლავს სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას ქართულ კანონმდებლობაში საკმაოდ დიდ სივრცეს ტოვებს ინტერპრეტაციისა და სასამართლო უფლებამოსილების აღსრულებისთვის, რაც ხშირად ართულებს კანონმდებლობის თანამიმდევრულად გამოყენებას.

VII. დასკვნები

ყველა დაინტერესებული პირი და პროექტის ბენეფიციარი მიესალმება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ჩართულობას და მხარს უჭერს სასამართლო პროცესების მონიტორინგის ჩატარებას იმ მეთოდოლოგიით, როგორც ეს აღწერილია ამ ანგარიშის მე-3-ე ნაწილში.

პროექტის გაგრძელება 2014 წლის 30 ივნისამდე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს აძლევს მონიტორინგის ეფექტურად ჩატარების და იმის შეფასების შესაძლებლობას, თუ რამდენად არის დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება შერჩეულ საქმეებში.

ODIHR –ის ძალისხმევით მომზადდება და გამოიცემა მონიტორინგის ანგარიში, რომელიც მოიცავს ძირითად შედეგებს და რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობისთვის იმ შერჩეულ საქმეებზე, რომლებზეც სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ განაჩენი 2014 წლის ივნისსა და ივლისში.

პროექტის მეორედ გაგრძელება საბოლოოდ დამოკიდებული იქნება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში არსებული საქმეების რაოდენობაზე, რომლებზეც ტარდება მონიტორინგი.

⁵⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 46 (1).

⁵⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 43.

⁵⁷ კონსტიტუცია, მუხლ. 85 (1).

⁵⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლ. 259 (1) და (2); აგრეთვე მუხლ. 273 და 275.

დამატება 1: მონიტორინგის საქმეების მიმოხილვა

2014 წლის თებერვლის მდგომარეობით

პირველი ინსტანციის საქმეები

1. ალანია; ახალაია დავითი; მელნიკოვი; თოფურიძე

მონიტორინგი ჩატარდა 18 სასამართლო პროცესზე.

- ალანია, გერონტი, პროცესზე დაუსწრებლად. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი ოფიცერი.
- ახალაია, დავითი, პროცესზე დაუსწრებლად. თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
- მელნიკოვი, ოლეგი, თავიდან არ დასწრებია სასამართლო პროცესს მისი უკრაინიდან ექსტრადიციამდე. ამჟამად იმყოფება პატიმრობაში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი ოფიცერი.
- თოფურიძე, იოსები, პროცესზე დაუსწრებლად. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე.

ბრალდებულებს ბრალად ედებათ სამი ადამიანის ცემაში, რომლებამც მათი თქმით შეურაცხყოფა მიაყენეს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ივანე მერაბიშვილის ცოლს თბილისის ერთერთ რესტორანში. მათ სხვადასხვა ბრალი აქვთ წაყენებული უკანონო დაპატიმრებებისთვის და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის.

2. ადეიშვილი, ჭაკუა

მონიტორინგი ჩატარდა 3 სასამართლო პროცესზე

- ადეიშვილი, ზურაბი, პროცესზე დაუსწრებლად. იუსტიციის ყოფილი მინისტრი, მთავარი პროკურორი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრი, პარლამენტის წევრი.
- ჭაკუა დავითი, პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი.

სასამართლო ბრალდების მიხედვით, 2012 წელს მათ ბრალი ედებათ პატიმართა არაადამიანური მოპყრობის წაქეზებაში, ვიდუოჩანაწერის გაკეთებაში რაც თვითონვე დააბრალეს ქართულ ოცნებასთან დაკავშირებულ პირებს რათა დაეფარათ ციხეში შეურაცხმყოფელი მოპყრობის ფაქტები და შეემცირებინათ ქართული ოცნების წარმატების შანსები 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში. მათ ბრალი წაეყენათ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, წამებაში, დანაშაულის პროვოცირებაში და მტკიცებულებების ფალსიფიკაციაში.

3. ადგიშვილი, ანთაძე, ჩიგოგიძე, ებანოძე, გაჩავა, გიორგაძე, გუმბათაშვილი, კაპანაძე, კოდუა, ყუბანიშვილი, მელია, მორჩილაძე, საჯავა, საყვარელიძე, ცხენოსანიძე

მონიტორინგი ჩატარდა 14 სასამართლო პროცესზე

- ადგიშვილი, ზურაბ. პროცესზე დაუსწრებლად. იუსტიციის ყოფილი მინისტრი, მთავარი პროკურორი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრი, პარლამენტის წევრი.
- ანთაძე, ილია. კომპანიის დირექტორი.
- ჩიგოგიძე, ვასილი. შპს „არკის“ დირექტორი
- ჩოჩელი, ცეზარი. კომპანია ნატახტარის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
- ებანოძე, ჯამბული. კომპანია თეგეტა მოტორსის აღმასრულებელი დირექტორი
- გაჩავა, ლაურა. კომპანიის დირექტორი
- გიორგაძე, დავითი. ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე
- გუმბათაშვილი, ირაკლი. CDM Co.-ს დირექტორი
- კაპანაძე, ლუბუმი. პროცესზე დაუსწრებლად.

- კოდუა, დავითი. კომპანიის დირექტორი.
- ყუბანიშვილი, ნიკა. ინტერპლასტის დირექტორი.
- მელია, ნიკა. თბილისის მთაწმინდის რაიონის ყოფილი გამგებელი.
- მორჩილაძე, გრიგოლი. კომპანიის ხელმძღვანელი.
- საჯავა, ნუგზარი. პლანექს კო-ს დირექტორი.
- საყვარელიძე, ლევანი. კომპანიის დირექტორი.
- ცხენოსანიძე, გოჩა. კომპანიის დირექტორი.

როგორც ამტკიცებენ, ბრალდებულებს ჰქონდათ ქართუ ბანკის გაკოტრების მცდელობა. მათ წაეყენათ ბრალი უკანონო ქმედებებზე, რაც დაკავშირებული იყო გაკოტრებასთან და ყალბი საკრედიტო და სადებიტო ბარათების გამოყენებასთან. ადგიშვილს ბრალი წაეყენა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე.

4. კეზერაშვილი, ჯანაშვილი, ლაფანაშვილი, იაკუბოვი, მელაშვილი, იმნაძე, კაკიაშვილი, დავითაშვილი

მონიტორინგი ჩატარდა 25 სასამართლო პროცესზე

- კეზერაშვილი, დავითი. პროცესზე დაუსწრებლად. ამჟამად იწარმოება მისი ექსტრადიციის პროცედურა საფრანგეთში. ყოფილი თავდაცვის მინისტრი.
- ჯანაშვილი, მეირი, პროცესზე დაუსწრებლად.
- ლაფანაშვილი, ლევანი.
- იაკუბოვი, ალექსანდრე.
- მელაშვილი, მიხეილი.
- იმნაძე, იოსები.
- კაკიაშვილი, ზვიადი.
- დავითაშვილი, ნიკოლოზი.

სასამართლო ბრალდების მიხედვით, 2006 წელს დავითაშვილმა და იმნაძემ დაიწყეს ეთანოლის სპირტის იმპორტი უკრაინიდან გადასახადების გადახდის გარეშე, რომელსაც საქართველოში კონიაკის საწარმოებლად იყენებდნენ რათა უკანონოდ მოეხდინათ მისი ექსპორტი უკრაინაში და ბელორუსიაში. მათ სთხოვეს ჯანაშვილს გამოეყენებინა მისი კონტაქტი კეზერაშვილთან ფინანსური პოლიციისგან დასაცავად, რაზედაც კეზერაშვილი დათანხმდა დაახლოებით 13 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ. დანარჩენი ბრალდებულები საბაჟოს თანამშრომლები არიან. მათ ბრალი ედებათ საკრედიტო და სადებიტო ბარათების გაყალბებაში; საბაჟო პროცედურების დარღვევაში; ქრთამების მიცემაში; გაყალბებული დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკების დამზადებასა და გამოყენებაში; ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოყენებაში; ქრთამის აღებაში.

5. ქარდავა, ხიზანიშვილი, ლილუაშვილი

მონიტორინგი ჩატარდა 9 სასამართლო პროცესზე

- ქარდავა ლევან. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი.
- ხიზანიშვილი, შოთა. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე.
- ლილუაშვილი, ვაჟა. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე.

პროკურორების განცხადებით, 2012 წლის 26 სექტემბერს ბრალდებულებმა მითითება მისცეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ქართული ოცნების აქტივისტების კომპიუტერებიდან მასალების მოპოვებაზე. მათ აგრეთვე სთხოვეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ფარული ჩანაწერების YouTube-ზე ატვირთვა, რაც როგორც სჩანს მაშინდელი პრემიერ მინისტრობის კანდიდატის, ბიძინა ივანიშვილის პირადმა მცველმა გააკეთა, რომელსაც 100,000 აშშ დოლარი გადაუხადეს რათა მას ეთქვა, რომ მან ამ საუბრის ჩანაწერი ივანიშვილის მოთხოვნით გააკეთა. მათ ბრალი დაედოთ სახელმწიფო ქონების მითვისებაში; სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში; პირადი საუბრის უკანონოდ ჩაწერასა და გავრცელებაში; სხვისი საკუთრების დაზიანებასა და განადგურებაში; კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის უკანონოდ წვდომაში; და კომპიუტერის დამაზიანებელი პროგრამის შექმნაში.

6. მერაბიშვილი

მონიტორინგი ჩატარდა 22 სასამართლო პროცესზე

- მერაბიშვილი, ივანე. ყოფილი პრემიერ მინისტრი. დაკავებულია 2013 წლის 21 მაისიდან.

მერაბიშვილს ბრალად ედება ბრძანების გაცემა გადამეტებული ძალის გამოყენებაზე 2005 წლის 25 მაისს დემონსტრანტების წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ორი ადამიანის გარდაცვალება და

ათობით ადამიანის დაშავება. იმ დროს მერაბიშვილს ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა. მას ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში.

7. კეზერაშვილი, უგულავა

მონიტორინგი ჩატარდა 14 სასამართლო პროცესზე

- უგულავა, გიგი. იგი იყო თბილისის მერი სანამ, 2013 წლის დეკემბერში, სასამართლომ არ შეუჩერა თანამდებობრივი უფლებამოსილება სასამართლო პროცესის დასრულებამდე. უსაფრთხოების მინისტრის ყოფილი მოადგილე, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი.
- კეზერაშვილი, დავითი. პროცესზე დაუსწრებლად. ყოფილი თავდაცვის მინისტრი.

საქმე ეხება სამ ეპიზოდს: (1) ყალბი კომპანიის შექმნას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ფული გაედინებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 712 აქტივისტის დასაფინანსებლად; (2) ძველი თბილისის რეაბილიტაციისთვის გამიზნული სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 10 მილიონი აშშ დოლარის მითვისება ტელეიმედის ხელში ჩაგდების მიზნით; (3) უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, ფულის გათეთრება. მათ ბრალი წაეყენათ თანხების მითვისებასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე (ფულის გათეთრებაზე).

პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენი /აპელაცია

1. ახალაია, კალანდაძე, შამათავა, მკურნალიძე, დარასელია, კინწურაშვილი, გორგაძე, კიკაბიძე

მონიტორინგი ჩატარდა 44 სასამართლო პროცესზე, მათ შორის 4 სააპელაციო განხილვაზე

საქმე ეხება სამ შემთხვევას: (1) ახალაიამ, კალანდაძემ და შამათავამ შეურაცხყოფა მიაყენეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მძღოლებს, რომლებმაც უარი თქვეს დილის ვარჯიშში მონაწილეობის მიღებაზე; (2) ზვიად აბეგაძეზე თავდასხმას და შეურაცხყოფის მიყენებასა და დაპატიმრებას კალანდაძისთვის შეურაცხყოფის მიყენების საპასუხოდ; (3) პაატა პაატაშვილის ფიზიკურ შეურაცხყოფას.

ბრალდებულთა უმრავლესობის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი. 4 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა სასამართლო გადაწყვეტილება, მაგრამ ორი მსჯავრდებულის ბრალდება გადაკვალიფიცირდა და მათ გაეზარდათ სასჯელის ზომა. საქმე შეტანილია აპელაციაზე უზენაეს სასამართლოში.

- ახალაია, ბაჩანა. დაკავებულია 2012 წლის ნოემბრის დასაწყისიდან. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, სახალხო დამცველის მოადგილე. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში, უკანონო დაპატიმრებებსა და წამებაში.
- კალანდაძე, გიორგი. გენერალ მაიორი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა ცნობილი დამნაშავედ სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში,

თავისუფლების უკანონო აღკვეთაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში და მას სასჯელის სახით სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა 3 თვის ვადით დაეკისრა, თუმცა ამნისტიის კანონის საფუძველზე სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა.

- შამათავა, ზურაბი. შეიარაღებული ძალების ვაზიანის მეოთხე ბრიგადის ყოფილი მეთაური. დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. სასჯელის სახედ განესაზღვრა ოთხი – ექვსი საათით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა; 2012 წლის ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ზურაბ შამათავა გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი ბრალეულობა გადაკვალიფიცირდა და სასჯელის ზომა გაეზარდა. შამათავა ამჟამად ციხეში იმყოფება.
- მკურნალიძე, გაგა. სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ უკანონო დაპატიმრებების საქმეში.
- დარასელია, მანუჩარ. პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ უკანონო დაპატიმრებების საქმეში.
- კინწურაშვილი, გიორგი. პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ უკანონო დაპატიმრებების საქმეში.
- გორგაძე, ალექსანდრე. მეოთხე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი. ბრალი წაყენა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაზე. სასჯელის სახით განესაზღვრა 140 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა; 2012 წლის ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გორგაძე გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი ბრალეულობა გადაკვალიფიცირდა და სასჯელის ზომა გაეზარდა. გორგაძე ამჟამად ციხეში იმყოფება.
- კვიციანი, მერაბი. თავდაცვის სამინისტროს მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაური. სასამართლომ იგი სცნო უდანაშაულოდ.

2. ახალაია, დავითაშვილი, ჩუბინიძე, გორგაშვილი, სუთიძე, აბაშიძე, ვეკუა, ზანგიევა

მონიტორინგი ჩატარდა 30 სასამართლო პროცესზე, მათ შორის 4 სააპელაციო საქმის განხილვაზე

2013 წლის 31 ოქტომბერს, პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებოდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს შვიდი თანამშრომლის წამება და დაპატიმრება, რომელთაც ისინი ადანაშაულებდნენ დაუმორჩილებლობასა და ქართული ოცნების მიმართ გულშემატკივრობაში; მის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი. საქმე გადაცემულია აპელაციაზე.

- ახალაია, ბაჩანა. დაკავებულია 2012 წლის ნოემბრის დასაწყისიდან. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსი, სახალხო დამცველის მოადგილე. არ იქნა ცნობილი დამნაშავედ სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში, უკანონო დაპატიმრებაში და წამებასა და არაადამიანური და ღირსების შემლახავ მოპყრობაში.
- დავითაშვილი, ალექსი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. მოეხსნა ბრალდება უკანონო დაპატიმრებაზე, წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე, ადამიანთა თანასწორობის უფლებების დარღვევაზე.
- ჩუბინიძე, დავითი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. მოეხსნა ბრალდება ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე, ადამიანთა თანასწორობის უფლებების დარღვევაზე.
- გიორგაშვილი, დავითი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. მოეხსნა ბრალდება უკანონო დაპატიმრებაზე, წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე.

- სუთიძე, რობერტი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. მოეხსნა ბრალდება უკანონო დაპატიმრებაზე, წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე.
- აბაშიძე, მამუკა. რეინჯერების კურსის ხელმძღვანელი თავდაცვის სამინისტროში. მოეხსნა ბრალდება წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე.
- ვეკუა, დავითი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის პირველი დივიზიის ხელმძღვანელი. მოეხსნა ბრალდება წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე.
- ზანგიევი, ვლადიმერი. რეინჯერების პროგრამის ინსტრუქტორი. მოეხსნა ბრალდება უკანონო დაპატიმრებაზე, წამებაზე, ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაზე.

3. ახალაია, ჭარბაძე, ქარდავა, ჭაკუა

მონიტორინგი ჩატარდა 15 სასამართლო პროცესზე მათ შორის 2 სააპელაციო საქმის განხილვაზე

სასამართლოს ბრალდების მიხედვით, 2006 წლის გაზაფხულზე ბრალდებულები აიძულებდნენ კანონიერ ქურდებს ჩაეწერათ საუბარი, სადაც უნდა ეთქვათ, რომ ახალაიას თავდასხმა პატიმრებზე მოგონილია, რათა შემდეგ ახალაიას ეს ჩანაწერი გამოეყენებინა იმის სადემონსტრაციოდ რომ ყველაფერს, რასაც მისი პატიმრების მიმართ ცუდ მოპყრობაზე ამბობდნენ მისი დისკრედიტაციისთვის იყო გამოგონილი. კანონიერმა ქურდებმა, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ არ შეასრულეს ახალაიას ბრძანება. ამის საპასუხოდ, ახალაიამ, ქარდავამ და ჩარბაძემ მათ მიაყენეს მორალური და ფიზიკური შეუერაცხეოფა, რაც სხვა პატიმრებმა გააპროტესტეს და ეს პროტესტი გადაიზარდა ბუნტში.

28 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალი მოუხსნა ყველა ბრალდებულს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე და დაადანაშაულა ისინი ღირსების შემლახველ და არაადამიანურ მოპყრობაში. მათი სასჯელი განისაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთით (რომელიც შემცირდა 3 წლამდე, 9 თვემდე 2012 წლის დეკემბრის ამნისტიის შესახებ კანონის თანახმად) და მათ დროებით ეკრძალებათ თანამდებობის დაკავება. ახალაია დაჯარიმდა 4,000 ლარით ხოლო სხვები 3,000 ლარით. პროკურატურამ საქმე აპელაციაზე შეიტანა. 5 ნოემბერს, მედიამ გაავრცელა ინფორმაცია სააკაშვილის მიერ ჭარბაძისა და ახალაიას შეწყალების თაობაზე. შეწყალების შესახებ ინფორმაცია ვერ დასტურდება, რადგან არ მომხდარა ამ ინფორმაციის გასაჯაროება. 5 თებერვლის სააპელაციო განხილვის სხდომაზე, მხარეებმა განაცხადეს, რომ მხოლოდ ახალაია იქნა შეწყალებული, ჭარბაძე კი არა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა სასამართლო გადაწყვეტილება.

- ახალაია, ბაჩანა. დაკავებულია 2012 წლის ნოემბრის დასაწყისიდან. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, სახალხო დამცველის მოადგილე.
- ჭარბაძე, რევაზი. პროცესზე დაუსწრებლად. ციხის თანამშრომელი.
- ქარდავა, მეგისი. პროცესზე დაუსწრებლად. ციხის თანამშრომელი.
- ჭაკუა, დავითი. პროცესზე დაუსწრებლად. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი.

4. მიმცეიშვილი

მონიტორინგი ჩატარდა 11 სასამართლო პროცესზე

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მიმცეიშვილმა უკანონოდ მიითვისა 126,900 ლარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდებიდან და აგრეთვე საწვავის ვაუჩერები, რომლებსაც იყენებდნენ ხალხის ზუგდიდში გადასაცვანად ერთიანი ეროვნული მოძრაობის მიტინგზე. მედიის ცნობით, 30 ოქტომბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა იგი შეიწყალა, თუმცა ეს ჯერ კიდევ დასამოწმებელია.

- მიმცეიშვილი, ნიკოლოზი. პროცესზე დაუსწრებლად. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე. დამნაშავედ იქნა ცნობილი სახელმწიფო ქონების მითვისებისთვის. მოეხსნა ბრალდება სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებაზე. მას განესაზღვრა შერბილებული სასჯელი 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. გუნავა

მონიტორინგი ჩატარდა 10 სასამართლო პროცესზე

ბრალი ედება მისი მძღოლის ფეხში დაჭრაზე და სხეულის მსუბუქ დაზიანებებზე. აგრეთვე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საწვავის ვაუჩერების მითვისების გამო. სხეულის მსუბუქ დაზიანებაზე წაყენებული ბრალი მოეხსნა. დადანაშაულებულია ქონების უკანონო მითვისებაში. შეწყალებულია მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ.

- გუნავა, თენგიზი. სამეგრელო–ზემო სვანეთის გუბერნატორის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი. ბრალი ედება საზოგადოებრივი ფონდების ორჯერ უკანონოდ მითვისებაში. სასჯელის სახით განესაზღვრა 6–დან 8 წლამდე პატიმრობა. სასჯელი გაუნახვერდება ამნისტიის კანონის თანახმად. არ იქნა დამნაშავედ ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში და სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენებაში.

6. გვარამია, ხეთაგური, კანდელაკი, მანუკიანი, ნემსიწვერიძე, დამენია, გუტიძე.

მონიტორინგი ჩატარდა 25 სასამართლო პროცესზე მათ შორის 1 სააპელაციო საქმის განხილვაზე

პროკურორების თქმით, 2012 წლის ივლისში, მაშინდელი ენერგეტიკის მინისტრი ხეთაგური შევიდა კორუფციულ გარიგებაში თელასის ელექტროგამანაწილებელ კომპანიასთან, რომლის მეშვეობით, ელექტროგამანაწილებელმა კომპანიამ და მისმა სამმა ფილიალმა თავი აარიდეს ათობით მილიონის ოდენობით გადასახადების გადახდას 1 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ. კანდელაკი, იმ დროს თელასის ფილიალების უფროსი აღმასრულებელი პირი, ჩართული იყო მოლაპარაკებებში. გვარამიამ სთხოვა ნემსიწვერიძეს დაერეგისტრირებინა ყალბი საკონსულტაციო კომპანია, L&F სერვისი, რომელმაც მიიღო 1 მილიონი აშშ დოლარი თელასიდან და მისი ფილიალებიდან. ნემსიწვერიძემ გამოიტანა თანხა 2012 წლის 30 აგვისტოს და გადასცა გვარამიას. გვარამიამ ამ სქემაში ჩართო დამენია, „ჯიდისი სოლუმენის“ პარტნიორი და მათ გააფორმეს

კონტრაქტი L&F სერვისთან, რომლის შედეგად მოქმედებდნენ როგორც ფიქტიური ქვეკონტრაქტორები, რომლებიც საკონსულტაციო მომსახურებას უწევდნენ თელასსა და მის ფილიალებს.

ბრალდებულებს წაეყენათ ბრალი ქრთამების აღებასა და მიცემაზე, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე, საგადასახადო თაღლითობის, ფალსიფიცირებული დოკუმენტაციის მომზადებასა და გამოყენებაზე, ყალბ მეწარმეობაზე და დანაშაულის დაფარვაზე. 14 ნოემბერს ყველა მათგანს მოეხსნა ბრალდება. საქმე გადაეცა აპელაციაზე.

- გვარამია, ნიკა. რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი. განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი და გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე. 2004–2007 წლებში პარლამენტის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი.
- ხეთაგური, ალექსანდრე. ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი, საქართველოს ნავთობისა და გაზის კომპანიის გენერალური დირექტორი, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.
- კანდელაკი, დევი. თელასის მთავარი აღმასრულებელი პირი
- მანუკიანი, აშოტი. პროცესზე დაუსწრებლად. თელასის მთავარი აღმასრულებელი პირი.
- ნემსიწვერიძე, გიორგი. L&F სერვისის პარტნიორი.
- დამენია, კახა. ყოფილი ეკონომიკის მინისტრი. „ჯიდისი სოლუმენის“ სააუდიტორო კომპანიის პარტნიორი.
- გუტიძე, იზაბელა. „ჯიდისი სოლუმენის“ პარტნიორი.

7. მერაბიშვილი, ჭიაბერაშვილი

მონიტორინგი ჩატარდა 32 სასამართლო პროცესზე

2014 წლის 17 თებერვალს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ სცნო ბრალდებულები სახელმწიფო ფულის მილიონობით ლარის დახარჯვაზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის აქტივისტებზე დასაქმების პროგრამის მეშვეობით. მერაბიშვილს ასევე ბრალად დაედო სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი საკუთრების დაპატრონებაში. მერაბიშვილს სასჯელის სახით განესაზღვრა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც შემცირდა ხუთ წლამდე საქართველოს ამნისტიის კანონის შესაბამისად. ჭიაბერაშვილს განესაზღვრა ჯარიმა 52,000 ლარის ოდენობით, რომელიც შემცირდა 50,000 ლარამდე, რადგან იგი ორი დღე იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. ორივე მხარე აცხადებს, რომ საქმეს გადასცემენ სააპელაციოდ.

- მერაბიშვილი, ივანე. ყოფილი პრემიერ მინისტრი. დაკავებულია 2013 წლის 21 მაისიდან.
- ჭიაბერაშვილი, ზურაბი. კახეთის რეგიონის ყოფილი გუბერნატორი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; თბილისის მერი; ევროპის კომისიის მუდმივი წარმომადგენელი; შვეიცარიის კონფედერაციისა და ლიხტენშტეინის სამთავროს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი; ევროკავშირის ოფისის და სხვა საერთაშორისო

ორგანიზაციების მუდმივი წარმომადგენელი ქენევაში; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

დამატება II: ინფორმაცია საერთაშორისო მონიტორების შესახებ

პროექტში დაკავებული 42 მონიტორი (23 ქალი, 19 მამაკაცი) არიან შემდეგი წევრი ქვეყნების მოქალაქეები:

სასომხეთი

აზერბაიჯანი

ბელორუსია

ბოსნია და ჰერცეგოვინა

კანადა

ხორვატია

ფინეთი

საფრანგეთი

გერმანია

საბერძნეთი

იტალია

ყაზახეთი

ყირგიზეთი

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია

მოლდოვა

ნორვეგია

პოლონეთი

პორტუგალია

რუმინეთი

შვეიცარია

სერბეთი

სლოვაკია

გაერთიანებული სამეფო

უკრაინა

შეერთებული შტატები

აგრეთვე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს 3 თანამშრომელი და ეუთოს საველე ოპერაციების 8 თანამშრომელი.

*ამ ანგარიშის ინგლისური ვერსია წარმოადგენს ერთადერთ ოფიციალურ
დოკუმენტს.*

ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია ტექსტის არაოფიციალური თარგმანი